

რუსეთ–უკრაინის ომი - “პოლიტიკის გაგრძელება” ჰიბრიდული ომის
საშუალებით

ლაშა ხელაძე

*მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერებები საერთაშორისო
ურთიერთობები, მაგისტრატურის საფეხური*

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ხელაძე 27.01.2018

აბსტრაქტი

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში (2014 წელი), ახალ ეტაპზე გადაიყვანა თანამედროვე სამხედრო დისკურსი ომის წარმოების ხასიათისა და თავისებურებების შესახებ. აკადემიურ წრეებში აქტუალური გახდა აღნიშნული დაპირისპირების ჰიბრიდული ომის თეორიის ფარგლებში განხილვა. სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი განიხილავს ოთხ სამხედრო თეორიას, რომელთა შედარებითი ანალიზის საფუძველზეც გადააზრებულია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის დინამიკა და ახსნილია მისი გამომწვევი მიზეზები გლობალურ, ლოკალურ და სამხედრო კონტექსტებში. ამავდროულად ჩატარებულმა სიღრმისეულმა ქეის სთადი ანალიზმა, გამოკვეთა რამდენიმე თეორიული მახასიათებელი, რომელთა მეშვეობითაც შეტანილი იქნა სიახლე ჰიბრიდული ომის თეორიის აქტორთა ტიპოლოგიის აკადემიურ კვლევაში. ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ კვლევის შედეგები იძლევა საკმარის თეორიულ საფუძველს დაკონკრეტდეს ჰიბრიდული საფრთხეების ფორმები და წინანაპირობები, დადგინდეს მისი განმეორებისაღბათობა და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს პრევენციული ზომების დროულად მიღება.

Abstract

The Russian Invasion in Ukraine (2014) has moved the contemporary military discourse about the nature of warfare on a whole new level. The most frequently used concept to explain this confrontation in Academic circles is within the theoretical framework of hybrid war. This Master's thesis seeks to rethink the dynamics and causes of this conflict, through the comparative analysis of four military theories, which give us a global, local and military picture of an issue. On the other hand, the conducted in depth case study analysis provided some theoretical findings, which helped us redefine the role and typology of hybrid war actors. The research is also important in terms of clarification the forms of hybrid threats, estimation of its possible recurrence and availability of pre-emptive measures.